

საქართველოს კანონი
„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №7-28/4, 21 ნოემბერი, 1996, გვ.53) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. “სახელმწიფო საიდუმლოება” – ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების, მათ შორის კლასიფიცირებული ინფორმაციის შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით და/ან საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.”

2. კანონის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 და მე-12 პუნქტები:

„11. “კლასიფიცირებული ინფორმაცია” – ამ კანონისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით გათვალისწინებული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია (“TOP SECRET”, “SECRET”, “CONFIDENTIAL” და “RESTRICTED”).“

“12. არაკლასიფიცირებული ინფორმაცია (“UNCLASSIFIED”) – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს მხოლოდ ოფიციალური სამსახურებრივი საქმიანობის მიზნებისათვის”.

3. კანონის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო-ს) კლასიფიცირებული და არაკლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოებისათვის. ნატო-ს კლასიფიცირებული ინფორმაციის კონტროლისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში იქმნება ერთიანი კოორდინირებული რეგისტრების სისტემა, რომელიც შედგება თავდაცვის სამინისტროს ნატო-ს კლასიფიცირებული ინფორმაციის ცენტრალური რეგისტრისა და შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბში, საქართველოს სხვა სამინისტროებში, სახელმწიფო მინისტრების აპარატში, საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურში, დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მოქმედი ქვერეგისტრებისაგან, აგრეთვე

ქვერეგისტრები შეიძლება გაიხსნას საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ან თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის ბრძანებით.“

4. კანონის 13-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საიდუმლოების გრიფი სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ყოველი მატერიალური შემცველის აუცილებელი რეკვიზიტია. იგი უნდა აღნიშნავდეს ამ ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხს („განსაკუთრებული მნიშვნელობის“, „სრულიად საიდუმლო“, „საიდუმლო“ („TOP SECRET“, „SECRET“, „CONFIDENTIAL“) „შეზღუდული სარგებლობისთვის“ და „არაკლასიფიცირებული - სამსახურებრივი სარგებლობისთვის“.) („RESTRICTED“ და „UNCLASSIFIED“.) ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადასა და თანამდებობის პირს, რომელმაც აღნიშნა ეს გრიფი“.

„3. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ საიდუმლოების ხარისხი, მიეკუთვნება მონაცემები, რომელთა გავრცელება ან დაკარგვა არსებითად იმოქმედებდა საქართველოს ინტერესებზე თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, გამოიწვევდა განსაკუთრებით მძიმე შედეგებს, აგრეთვე კლასიფიცირებული ინფორმაცია TOP SECRET (გათანაბრებულია „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ გრიფთან), რომლის გამჟღავნება გამოიწვევდა განსაკუთრებით მძიმე შედეგებს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა თუ ორგანიზაციისათვის“.

„4. მონაცემებს, რომლისთვისაც წესდება საიდუმლოების ხარისხი „სრულიად საიდუმლო“, მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლის გავრცელებამ ან დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის, და ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა ინტერესებისათვის, აგრეთვე კლასიფიცირებული ინფორმაცია SECRET (გათანაბრებულია „სრულიად საიდუმლო“ გრიფთან), რომლის გამჟღავნებამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა თუ ორგანიზაციებისათვის“.

„5. მონაცემებს რომლებისთვისაც წესდება საიდუმლოების ხარისხი „საიდუმლო“, მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლის გავრცელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თავდაცვაზე, სახელმწიფო უშიშროებაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე, აგრეთვე კლასიფიცირებული ინფორმაცია CONFIDENTIAL (გათანაბრებულია „საიდუმლო“ გრიფთან), რომლის გამჟღავნება მიაყენებს ზიანს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა თუ ორგანიზაციის ინტერესებს“.

5. კანონის 13-ე მუხლს დაემატოს 5¹ და 5² პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5¹. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება საიდუმლოების ხარისხი „შეზღუდული სარგებლობის“, მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლის გავრცელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თავდაცვაზე, სახელმწიფო უშიშროებაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე, აგრეთვე კლასიფიცირებული ინფორმაცია RESTRICTED (გათანაბრებულია „შეზღუდული სარგებლობისთვის“

გრიფთან), რომლის გამჟღავნებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა თუ ორგანიზაციის ინტერესებსა და საქმიანობაზე“.

„5². მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება „არაკლასიფიცირებული (UNCLASSIFIED) - სამსახურებრივი სარგებლობისთვის“ ხარისხი მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ოფიციალური სამსახურებრივი საქმიანობისათვის, ცოდნის აუცილებლობის (need-to-know) პრინციპის დაცვით. „არაკლასიფიცირებული - სამსახურებრივი სარგებლობისთვის“ ინფორმაციის მართვისა და დაცვის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.“

6. კანონის 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. კლასიფიცირებული ინფორმაციის დაცვისთვის წესდება ფიზიკური უსაფრთხოების, პერსონალის (კადრების) უსაფრთხოების, ინფორმაციის უსაფრთხოების და ასევე საკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების განსაკუთრებული წესები, რომლსაც განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.“

7. კანონის 26-ე მუხლს „სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება“ დაემატოს 2¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო-ს) კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან მუშაობის ნებართვას გასცემს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან მუშაობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით“.

8. 33-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“33. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა და არაკლასიფიცირებული ინფორმაციის გამოქვეყნების შეზღუდვა.”

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 13 დეკემბრის №1044 ბრძანებულება „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) საიდუმლო და კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი